თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2025 წლის 15 იანვარი
მორიგი სხდომის
ოქმი № 1

ქ. თერჯოლა 15იანვარი 2025 წელი

სხდომა გაიმართა მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის სხდომათა დარბაზში, მის. ქ. თერჯოლა, ან. ჭანტურიძის ქ. № 7-ში.

სხდომას უძღვებოდა: საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილი

სხდომას ესწრებოდნენ: 1. გიორგი ბარათაშვილი, 2. ეკა ბერძენიშვილი, 3. ნინო ჩხიკვაძე, 4. თემური ქოჩიაშვილი, 5. იზა მაგრაქველიძე, 6. ბიძინა ბუცხრიკიძე, 7. კობა კაცაძე, 8. ნინო მახათაძე, 9. ბადრი ბუცხრიკიძე, 10. ჯემალ ისაკაძე, 11. ელისო მურადაშვილი, 12. მანუჩარ ფანჩულიძე, 13. შალვა ჭანკვეტაძე, 14.რუსუდან კოვზირიძე, 15. გოჩა ვერულაშვილი, 16. დავით გოგბერაშვილი, 17. ლაშა გურგენიძე, 18.ივანე ჩუბინიძე.

სხდომას არ ესწრებოდნენ: 1.ომარი ჯიხვაშვილი, 2. კახა ბუცხრიკიძე, 3. გრიგოლ გიორგაძე, 4.რამინი რობაქიძე, 5. თამარი ახვლედიანი, 6. ფრიდონი გვენეტაძე, 7.დავით ცხადაძე, 8.ნატალია ასათიანი, 9. კობა კირკიტაძე, 10. მერაბი ბასილაძე, 11. ტარიელ ფანჩულიძე, 12. როლანდი მესხი.

საკრებულოს სრული შემადგენლობა: 30 წევრი
საკრებულოს სიითი შემადგენლობა: 30 წევრი
დამსწრე საკრებულოს წევრთა რაოდენობა: 18 წევრი
კვორუმი: 16 წევრი

სხდომას ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე,მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეები ზვიად ბაზაძე და მირზა ქოჩიაშვილი, მერიის ადმინისტარციული, ჯანდაცვის, საფინანსო და აუდიტის სამსახურის უფროსები.

ა(ა)იპ დემოკრატიის სასწავლო ცენტრის დირექტორი ალექსანდრე ბუცხრიკიძე.

სხდომა დაიწყო 12 ^{00} სთ-ზე.
სხდომა დამთავრდა - 13 ^{50}სთ-ზე.

საკრებულოს სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად.

დღის წესრიგი:

1. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 04 დეკემბრის N18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის N28-282500965 წერილი, 09.01.2025 წ);

/მომხს.თ.ქოჩიაშვილი/

2. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საჭიროების მქონე ბავშვიანი ოჯახების მხარდაჭერისა და გაძლიერების 2025 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ(თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის N28-282500965 წერილი, 13.01.2025 წ);

მომხს.შ.ჭანკვეტაძე/

3. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის 2025 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის N28-282501388 წერილი, 13.01.2025 წ);

/მომხს.შ.ჭანკვეტაძე/

4. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი ფინანსური მხარდაჭერის 2025 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ(თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის N28-2825013106 წერილი, 13.01.2025 წ);

/მომხს.შ.ჭანკვეტაძე/

5. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული პირველი ჯგუფის უსინათლოთა სოციალური მხარდაჭერის 2025 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ(თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის N28-2825013106 წერილი, 13.01.2025 წ);

მომხს.შ.ჭანკვეტაძე/

6. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უკიდურეს გაჭივრებაში მყოფი ბენეფიციარების სოციალური მხარდაჭერის 2025 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ(თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის N28-2825013106 წერილი, 13.01.2025 წ);

მომხს.შ.ჭანკვეტაძე/

7. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ეპილეფსიით ან პარკინსონით დავადებულ ბენეფიციართა სოციალური მხარდაჭერის 2025 წლის პროგრამის

დამტკიცების შესახებ(თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის N28-2825013106 წერილი, 13.01.2025 წ);

მომხს.შ.ჭანკვეტაძე/

8. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული დიალიზის სახელმწიფო პროგრამას დაქვემდებარებული ბენეფიციარების სოციალური მხარდაჭერის 2025 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ(თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის N28-2825013106 წერილი, 13.01.2025 წ);

მომხს.შ.ჭანკვეტაძე/

9. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 18 წლმდე შშმ პირთა სარეაბილიტაციო მომსახურების თანადაფინანსების 2025 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ(თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის N28-2825013106 წერილი, 13.01.2025 წ);

მომხს.შ.ჭანკვეტაძე/

10. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 18 წლამდე დიაბეტით დავადებულთა ოჯახების ფინანსური მხარდაჭერის 2025 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ(თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის N28-2825013106 წერილი, 13.01.2025 წ);

მომხს.შ.ჭანკვეტაძე/

11. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ახალშობილთა ოჯახების ფინანსური მხარდაჭერის 2025 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ(თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის N28-2825013106 წერილი, 13.01.2025 წ);

მომხს.შ.ჭანკვეტაძე/

12. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრიებული სახლდაზიანებული ოჯახების 2025 წლის დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ(თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის N28-2825013106 წერილი, 13.01.2025 წ);

მომხს.შ.ჭანკვეტაძე/

13. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უკიდურესად გაჭირვებული და მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების საკვები პროდუქტებით მხარდაჭერის 2025 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ(თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის N28-2825013106 წერილი, 13.01.2025 წ);

მომხს.შ.ჭანკვეტაძე/

14. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების 2025 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის N28-2825013106 წერილი, 13.01.2025 წ);

მომხს.შ.ჭანკვეტაძე/

15. უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების დროებითი საცხოვრებელი ბინის, ქირით უზრუნველყოფის 2025 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ(თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის N28-2825013106 წერილი, 13.01.2025 წ);

მომხს.შ.ჭანკვეტაძე/

16. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ მარტოხელა მშობლის სოციალური მხარდაჭერის 2025 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ(თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის N28-2825013106 წერილი, 13.01.2025 წ);

მომხს.შ.ჭანკვეტაძე/

17. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უპატრონო მიცვალებულის სარიტუალო მომსახურების 2025 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ(თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის N28-2825013106 წერილი, 13.01.2025 წ);

მომხს.შ.ჭანკვეტაძე/

18. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში დაღუპულთა ოჯახების ფინანსური მხარდაჭერის 2025 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ(თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის N28-2825013106 წერილი, 13.01.2025 წ);

მომხს.შ.ჭანკვეტაძე/

19. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ფენილკეტონურიით და ცელიაკიით დავადებულთა ოჯახების ფინანსური მხარდაჭერის 2025 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ(თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის N28-2825013106 წერილი, 13.01.2025 წ);

მომხს.შ.ჭანკვეტაძე/

20. სადღესასწაულო დღეების მხარდაჭერის 2025 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ(თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის N28-2825013106 წერილი, 13.01.2025 წ);

მომხს.შ.ჭანკვეტაძე/

21. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა სარგოები, საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის N 19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -18, წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ თემურ ქოჩიაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 04 დეკემბრის N18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი -თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ცვლილება გამოიწვია მთავრობის განკარგულებამ და ხარჯვითი ნაწილის კორექტირებამ (ბიუჯეტში აისახა ნაშთი).
ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა გაიზარდა 8095.6 ათასი ლარით და შეადგენს 28745.6 ლარს.
საშემოსავლო ნაწილი შემცირდა 48.1 ათასი ლარით. მიზნობრივი ტრანსფერი.
საშემოსავლო ნაწილი გაიზარდა 8143.7 ათასი ლარით. რგფ-ის პროექტები დაფინანსდა 5383.1 ათასი ლარით. სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირებაზე გამოიყო 1373.2 ათასი ლარი. დამატებითი ღირებულების გადასახადი გაიზარდა 1159.4 ათასი ლარით და 2025 წლის პირველი იანვრისათვის დარჩენილი ნაშთი 228.0 ათასი ლარი (მიზნობრივი გრანტი 109.0 ათასი ლარი და ადგილობრივი შემსავლები 119.0 ათასი ლარი) აისახა ბიუჯეტში.
ხარჯვითი ნაწილი გაიზარდა 8143.7 ათასი ლარით.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე-18, წინააღმდეგი-0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 04 დეკემბრის N18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი (დადგენილება №1 15.01.2025 წ.).

2.

მოისმინეს: მომხსენებლმა, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ შალვა ჭანკვეტაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტში

რეგისტრირებული საჭიროების მქონე ბავშვიანი ოჯახების მხარდაჭერისა და გაძლიერების 2025 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი - თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საჭიროების მქონე ბავშვიანი ოჯახების მხარდაჭერისა და გაძლიერების 2025 წლის პროგრამის ამოცანაა „ბავშვის უფლებათა კოდექსით" განსაზღვრული ოჯახის/ბავშვის მხარდამჭერი ღონისძიება , რომლის მიზანია ბავშვის მიტოვების ან ოჯახისგან განცალკევების პრევენცია, სიღატაკეში ან/და კრიზისში მყოფი ბავშვიანი ოჯახების პირველადი საჭიროებების დაკმაყოფილება და ბავშვის ოჯახურ გარემოში აღზრდის ხელშეწყობა. აქვე განვმარტავთ, რომ აღნიშნული პროგრამის ბიუჯეტი 2025 წლისათვის გაიზარდა და წარმოდგენილი პროექტით პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 25 000 ლარს.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 18 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საჭიროების მქონე ბავშვიანი ოჯახების მხარდაჭერისა და გაძლიერების 2025 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი (განკარგულება №გ-29.292501511, 15.01.2025წ.).

3.

მოისმინეს: მომხსენებლმა, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ შალვა ჭანკვეტაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის 2025 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი -პროგრამის ბიუჯეტია 25 000 ლარი. პროგრამა ითვალისწინებს თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული და ფაქტობრივად მცხოვრები ICD10 პროგრამის ვალიდური დიაგნოზის აუტისტური სპექტრის მქონე ბენეფიციარების სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსება.
დაფინანსება განისაზღვრება პროგრამაში ჩართული ბენეფიციარის თვეში მიღებული მომსახურეობის (სარეაბილიტაციო კურსი 10 საათი) თანხის ანაზღაურებას არაუმეტეს 220 ლარისა ან ფაქტობრივი მომსახურების შესაბამისად ყოველი მომდევნო თვის 10 რიცხვამდე წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით.
პროგრამის მიზანია: სარეაბილიტაციო კურსის ჩატარების ხელშეწყობა.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -18 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის 2025 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი (განკარგულება №გ-29-292501512, 15.01.2025წ.).

4.

მოისმინეს: მომხსენებლმა, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ შალვა ჭანკვეტაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტში

რეგისტრირებული მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი ფინანსური მხარდაჭერის 2025 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი - პროგრამის ბიუჯეტია 152 000 ლარი.პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე სოციალურ პირობებში მყოფ ოჯახებს.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -18, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი ფინანსური მხარდაჭერის 2025 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი(განკარგულება №გ-29-29250159, 15.01.2025წ.).

5.
მოისმინეს: მომხსენებლმა, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ შალვა ჭანკვეტაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული პირველი ჯგუფის უსინათლოთა სოციალური მხარდაჭერის 2025 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი - პროგრამის ბიუჯეტია 52 000 ლარი.პროგრამის მიზანს წარმოადგენს თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული პირველი ჯგუფის უსინათლოთათვის კომუნალური გადასახადების გადახდაში ხელშეწყობა.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -18 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული პირველი ჯგუფის უსინათლოთა სოციალური მხარდაჭერის 2025 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი (განკარგულება №გ-29. 29250154, 15.01.025წ.).

6.
მოისმინეს: მომხსენებლმა, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ შალვა ჭანკვეტაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უკიდურეს გაჭივრებაში მყოფი ბენეფიციარების სოციალური მხარდაჭერის 2025 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი - პროგრამის ბიუჯეტია 2 000 ლარი. პროგრამის მიზანია ერთჯერადი კვების ობიექტის ფუნქციონირების შეწყვეტის შედეგად აღრიცხვაზე მყოფი ბენეფიციარებისათვის ფინანსური მხარდაჭერა.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -18 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უკიდურეს გაჭირვებაში მყოფი ბენეფიციარების სოციალური მხარდაჭერის 2025 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი(განკარგულება №გ-29.2925015001, 15.01.2025წ.).

7.
მოისმინეს: მომხსენებლმა, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ შალვა ჭანკვეტაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ეპილეფსიით ან პარკინსონით დავადებულ ბენეფიციართა სოციალური მხარდაჭერის 2025 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი -პროგრამის ბიუჯეტია 35000 ლარი. დაავადებულთა სასიცოცხლო მნიშვნელობიდან გამომდინარე, პროგრამის მიზანს წარმოადგენს ეპილეფსიით ან პარკინსონით დაავადებულ ბენეფიციარების ყოველდღიური მოხმარების მედიკამენტების შეძენის მიზნით მხარდაჭერა.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -18 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ეპილეფსიით ან პარკინსონით დავადებულ ბენეფიციართა სოციალური მხარდაჭერის 2025 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი (განკარგულება №გ-29.292501518, 15.01.2025 წ.).

8.
მოისმინეს: მომხსენებლმა, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ შალვა ჭანკვეტაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული დიალიზის სახელმწიფო პროგრამას დაქვემდებარებული ბენეფიციარების სოციალური 2025 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი - პროგრამის ბიუჯეტია 100 000 ლარი. პროგრამის მიზანს წარმოადგენს დიალიზის სახელმწიფო პროგრამას დაქვემდებარებული ბენეფიციარების სამედიცინო დაწესებულებაში გადაადგილების და მედიკამენტებით უზრუნველყოფის ფინანსური ხელშეწყობა.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -18 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული დიალიზის სახელმწიფო პროგრამას დაქვემდებარებული ბენეფიციარების სოციალური მხარდაჭერის 2025 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი(განკარგულება №გ-29.292501517,15.01.2025წ.).

9.
მოისმინეს: მომხსენებლმა, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ შალვა ჭანკვეტაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 18 წლამდე შშმ პირთა სარეაბილიტაციო მომსახურების თანადაფინანსების 2025 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი-პროგრამის ბიუჯეტია 5 000 ლარი. პროგრამის სრულყოფილად განხორციელება ხელს შეუწყობს თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 18 წლამდე შშმ პირთა რეაბილიტაციას.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -18, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 18 წლმდე შშმ პირთა სარეაბილიტაციო მომსახურების თანადაფინანსების 2025 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი(განკარგულება №გ-29.29250153, 15.01.2025წ.).

10.
მოისმინეს: მომხსენებლმა, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ შალვა ჭანკვეტაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 18 წლამდე დიაბეტით დავადებულთა ოჯახების ფინანსური მხარდაჭერის 2025 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი - პროგრამის ბიუჯეტია 18 000 ლარი.პროგრამის მიზანს წარმოადგენს დიაბეტით დაავადებულ ბავშვთა ფინანსური მხარდაჭერა .

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -18 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 18 წლამდე დიაბეტით დავადებულთა ოჯახების ფინანსური მხარდაჭერის 2025 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი (განკარგულება №გ-29.29250155. 15.01.025 წ.).

11.
მოისმინეს: მომხსენებლმა, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ შალვა ჭანკვეტაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ახალშობილთა ოჯახების ფინანსური მხარდაჭერის 2025 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი - პროგრამის ბიუჯეტია 55 000 ლარი.პროგრამის მიზანს წარმოადგენს თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ახალშობილთა ოჯახების მატერიალური დახმარების გაწევა.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -18, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ახალშობილთა ოჯახების ფინანსური მხარდაჭერის 2025 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი (განკარგულება №გ-29-29250157, 15.01.2025წ.).

12.

მოისმინეს: მომხსენებლმა, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ შალვა ჭანკვეტაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრიებული სახლდაზიანებული ოჯახების 2025 წლის დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი - პროგრამის ბიუჯეტია 450 000 ლარი. პროგრამის მიზანია დაეხმაროს თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ და მცხოვრებ ოჯახებს, რომელთა საცხოვრებელი სახლები საჭიროებენ გადაუდებელ შეკეთებას, დაზიანდა ხანძრის, სტიქიის შედეგად და გეოლოგიური დასკვნის საფუძველზე ექვემდებარება განსახლებას ან/და საცხოვრებელი ადგილი წარმოადგენს სტიქიურად საშიშ ზონას. პროგრამა ასევე ითვალისწინებს სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის მცირე ფართიანი ინდივიდუალური სახლების მშენებლობას ან/და შეძენას, რომელთა საცხოვრებელი სახლები დაზიანების მასშტაბის გამო ექვემდებარება დემონტაჟს.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -18, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრიებული სახლდაზიანებული ოჯახების 2025 წლის დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი (განკარგულება №გ-29.292501510, 15.01.2025წ.).

13.

მოისმინეს: მომხსენებლმა, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ შალვა ჭანკვეტაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უკიდურესად გაჭირვებული და მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების საკვები პროდუქტებით მხარდაჭერის 2025 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი - პროგრამის ბიუჯეტია 100 000 ლარი.პროგრამის მიზანია თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უკიდურესად გაჭირვებული და მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების საკვები პროდუქტებით მხარდაჭერა.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოსს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -18, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უკიდურესად გაჭირვებული და მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების საკვები პროდუქტებით მხარდაჭერის 2025 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი (განკარგულება №გ-29.29250156, 15.01.2025წ.).

14.

მოისმინეს: მომხსენებლმა, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ შალვა ჭანკვეტაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების 2025 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი - პროგრამის ბიუჯეტია 320 000 ლარი. პროგრამის მიზანია დაეხმაროს და ხელი შეუწყოს თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფას.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -18, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: გადაწყვიტეს თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების 2025 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი (განკარგულება №გ-29.29250158,15.01.2025წ.).

15.

მოისმინეს: მომხსენებლმა, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ შალვა ჭანკვეტაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების დროებითი საცხოვრებელი ბინის, ქირით უზრუნველყოფის 2025 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი - პროგრამის ბიუჯეტია 72 000 ლარი.პროგრამის მიზანია თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უსახლკარო მოქალაქეების ბინის ქირით უზრუნველყოფა.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -18 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების დროებითი საცხოვრებელი ბინის, ქირით უზრუნველყოფის 2025 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი (განკარგულება №გ-29.292501513, 15.01.2025წ.).

16.

მოისმინეს: მომხსენებლმა, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ შალვა ჭანკვეტაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მარტოხელა მშობლის სოციალური მხარდაჭერის 2025 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი - პროგრამის ბიუჯეტია 68 000 ლარი.პროგრამის მიზანია მარტოხელა დედების/მამების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება და ფინანსური მხარდაჭერა.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -18 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ მარტოხელა მშობლის სოციალური მხარდაჭერის 2025 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი (განკარგულება №g-29.292501513,15.01.025წ.).

17.

მოისმინეს: მომხსენებლმა, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ შალვა ჭანკვეტაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უპატრონო მიცვალებულის სარიტუალო მომსახურების 2025 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი - პროგრამის ბიუჯეტია 3 000 ლარი.პროგრამის მიზანია თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უპატრონო მიცვალებულის სარიტუალო მომსახურება (რომელსაც არ ჰყავს ან არ იძებნება პირდაპირი მემკვიდრე დედა, მამა, და/ძმა ,მეუღლე, ბაბუა,ბებია, შვილი/ გერი, შვილიშვილი).

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -18, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უპატრონო მიცვალებულის სარიტუალო მომსახურების 2025 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი(განკარგულება №g-29.292501519,15.01.2025წ.).

18.

მოისმინეს: მომხსენებლმა, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ შალვა ჭანკვეტაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში დაღუპულთა ოჯახების ფინანსური მხარდაჭერის 2025 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი - პროგრამის ბიუჯეტია 14 000 ლარი. პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს და თანადგომა გამოხატოს თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ომში დაღუპულთა ოჯახების მიმართ.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -18 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში დაღუპულთა ოჯახების ფინანსური მხარდაჭერის

2025 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი (განკარგულება №გ-29.292501516,15.01.2025წ).

19.
მოისმინეს: მომხსენებლმა, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ შალვა ჭანკვეტაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ფენილკეტონურიით და ცელიაკიით დავადებულთა ოჯახების ფინანსური მხარდაჭერის 2025 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი - პროგრამის ბიუჯეტია 20 000 ლარი.პროგრამის მიზანს წარმოადგენს ფენილკეტონურიით და ცელიაკიით დაავადებულთა საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფის ხელშეწყობა.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -18 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ფენილკეტონურიით და ცელიაკიით დავადებულთა ოჯახების ფინანსური მხარდაჭერის 2025 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი(განკარგულება №გ-29.292501515, 15.01.2025 წ.).

20.
მოისმინეს: მომხსენებლმა, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ შალვა ჭანკვეტაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო სადღესასწაულო დღეების მხარდაჭერის 2025 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი - პროგრამის ბიუჯეტია 20 000 ლარი.პროგრამის მიზანია სადღესასწაულო დღეებთან დაკავშირებით (აღდგომა , ბარბარობა, ახალი წელი) თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფების(70 წელს გადაცილებული მარტოხელა, მარტოხელა მშობელი,სოციალურად დაუცველი მრავალვილიანი,18 წლამდე დიაბეტით დაავადებული ბავშვები,პირველი ჯგუფის უსინათლო) საკვები პროდუქტებით მხარდაჭერა.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -18, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს სადღესასწაულო დღეების მხარდაჭერის 2025 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი (განკარგულება №გ-29.292501514, 15.01.2025წ.).

21.
მოისმინეს: მომხსენებელმა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნოს ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის

პირთა სარგოები, საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის N 19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი - ცვლილება გამოწვეულია საჯარო სამსახურის შესახებ კანონში ცვლილებით. პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის და მისი მოადგილის სამართლებრივი სტატუსი შეიცვალა და გარდაიქმნენ ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირებად.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -18 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა სარგოები, საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის N 19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი(დადგენილება №2, 15.01.2025 წ.).

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ბარათაშვილმა თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 15 იანვრის საკრებულოს მორიგი სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე
გიორგი ბარათაშვილი